საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-107

2018 წლის 26 თებერვალი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 21^1 მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1
დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს თანდართული დებულება.
მუხლი 2
ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 14 იანვრის №2-3 ბრძანება.
მუხლი 3
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი **ლევან დავითაშვილი**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი
1. სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის საფუძველზე.
2. სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონით, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით, ამ დებულებითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

3. სააგენტოს აქვს სიმბოლიკა, ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშები კომერციულ ბანკებსა და სახელმწიფო ხაზინაში და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

4. სააგენტოს იურიდიული მისამართია: საფოსტო ინდექსი – 0159, ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №36ᵃ.
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 15 ივნისის ბრძანება №2-467 - ვებგვერდი, 16.06.2023 წ.

მუხლი 2. სააგენტოს უფლებამოსილებები და ვალდებულებები
სააგენტოს უფლებამოსილებები და ვალდებულებებია:

ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სფეროში:

ა.ა) წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

ა.ბ) მიკვლევადობის მოთხოვნების შემოწმება მათი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად;

ა.გ) საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის შემოწმება მისი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად;

ა.დ) გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული სურსათის/ცხოველის საკვების განადგურებაზე ზედამხედველობა;

ა.ე) მოსახლეობის დროული ინფორმირება ბაზარზე განთავსებულ სურსათთან/ცხოველის საკვებთან დაკავშირებით, თუ დადასტურებულია, რომ ეს სურსათი/ცხოველის საკვები ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობისათვის მავნეა;

ბ) ვეტერინარიის სფეროში:

ბ.ა) ცხოველთა ჯანმრთელობისა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის უზრუნველსაყოფად კონტროლის განხორციელება;

ბ.ბ) გადამდები დაავადებების დიაგნოსტიკა, მათი საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამების შემუშავება, ორგანიზება და განხორციელება;

ბ.გ) ცხოველთა კეთილდღეობაზე კონტროლის განხორციელება;

ბ.დ) ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაცია და კონტროლი, ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების განადგურებაზე ზედამხედველობა;

ბ.ე) ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის განკარგვის უზრუნველსაყოფად კონტროლის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ.ვ) ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის (მათ შორის, სეზონურ საძოვრებზე) მიმდინარეობაზე ზედამხედველობა;

ბ.ზ) ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;

ბ.თ) ზოონოზური დაავადების გამოვლენის შემთხვევაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ.ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვეტერინარული კარანტინის ორგანიზება;

ბ.კ) ვეტერინარიის სფეროში დასაქმებული ბიზნესოპერატორების საქმიანობის კოორდინაცია;

ბ.ლ) იმ ქვეყნების სიის შემუშავება, საიდანაც ცხოველების, ცხოველური პროდუქტებისა და ცხოველის საკვების იმპორტი დაშვებულია;

ბ.მ) მოსახლეობის დროული ინფორმირება ბაზარზე განთავსებულ ვეტერინარულ პრეპარატებთან დაკავშირებით, თუ დადასტურებულია მათი მავნე ზემოქმედება ცხოველთა ჯანმრთელობასა და

კეთილდღეობაზე;

ბ.ნ) ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო, საქართველოში სპეციალური კონტროლისადმი დაქვემდებარებული ნივთიერებების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელება;

გ) მცენარეთა დაცვის სფეროში:

გ.ა) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაცია, მათი გამოყენებისა და მიმოქცევის კონტროლი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ.ბ) მცენარეთა დაცვის უზრუნველსაყოფად კონტროლის განხორციელება;

გ.გ) მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

გ.დ) მცენარეთა კარანტინის ორგანიზება;

გ.ე) მავნე ორგანიზმის გავრცელებასა და განვითარებაზე დაკვირვება, მავნე ორგანიზმის გამოვლენა და მისი დიაგნოსტიკის უზრუნველყოფა;

გ.ვ) საკარანტინო მავნე ორგანიზმების ნუსხის შემუშავება;

გ.ზ) მავნე ორგანიზმის მასობრივი გავრცელებისა და განვითარების პროგნოზირება;

გ.თ) მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო, პრევენციული და ლოკალიზაციის/სალიკვიდაციო ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

გ.ი) ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტების დამუშავებაზე ზედამხედველობა საერთაშორისო გადაზიდვების შემთხვევაში;

გ.კ) მოსახლეობის დროული ინფორმირება ბაზარზე განთავსებულ აგროქიმიკატებთან და პესტიციდებთან დაკავშირებით, თუ დადასტურებულია მათი მავნე ზემოქმედება ადამიანთა და ცხოველთა ჯანმრთელობაზე, მცენარეთა სიჯანსაღეზე და გარემოზე;

გ.ლ) მავნე ორგანიზმებისაგან თავისუფალი ტერიტორიის ან მავნე ორგანიზმების დაბალი გავრცელების ტერიტორიის სტატუსის მინიჭება;

გ.მ) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დატოვებამდე, ტვირთის ფიტოსანიტარიული სერტიფიცირების შემდეგ, მისი ხელახალი ინვაზიისა და შემადგენლობის ჩანაცვლების თავიდან ასაცილებლად სათანადო პროცედურების განხორციელება;

დ) ბიზნესოპერატორთა აღიარება;

ე) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის უზრუნველყოფა;

ვ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში არსებული სამართლებრივი მოთხოვნების შესახებ ბიზნესოპერატორთა და მომხმარებელთა ინფორმირება;

ზ) უფლებამოსილ პირთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება;

თ) სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და მომხმარებელთა ინტერესების დამცველ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ი) ნებართვების, სერტიფიკატებისა და ლიცენზიების გაცემა საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი წესით;

კ) ქვეყანაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დროს კრიზისული მდგომარეობის მართვის გეგმის შემუშავება და სამინისტროსათვის წარდგენა;

ლ) გარემოს დაბინძურების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების ინფორმირება;

მ) სახელმწიფო კონტროლის შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კონფიდენციალური ინფორმაციისა;

ნ) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის იძულებით აღსრულების თაობაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა;

ო) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2026 წლის 30 მარტის ბრძანება №2-118 - ვებგვერდი, 31.03.2026წ.

მუხლი 3. სააგენტოს მართვა და წარმომადგენლობა

1. სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის წარდგინებით.
2. სააგენტოს უფროსი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს სააგენტოს საქმიანობას;

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს სააგენტოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

დ) ამტკიცებს სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების დებულებებს, შინაგანაწესს, საშტატო განრიგს და თანამდებობრივ სარგოებს;

ე) ანაწილებს ფუნქციებს სააგენტოს უფროსის მოადგილეებს შორის, კოორდინაციას უწევს მათ მუშაობას;

ვ) უფლებამოსილია განახორციელოს მის კომპეტენციაში არსებული საკითხების დელეგირება სააგენტოს სხვა თანამშრომელზე;

ზ) იღებს გადაწყვეტილებას სააგენტოს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

თ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს, ხოლო აჭარის დეპარტამენტის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით;

ი) კანონმდებლობით დადგენილი წესით, განკარგავს სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებსა და ქონებას, პასუხისმგებელია სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვასა და მიზნობრივად გამოყენებაზე;

კ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის სააგენტოს უფროსის სათათბირო ორგანოს და განსაზღვრავს მის რიცხოვნობას და პერსონალურ შემადგენლობას;

ლ) აუქმებს, ცვლის, ძალადაკარგულად და ბათილად ცნობს სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან მიზანშეუწონელ გადაწყვეტილებებს;

მ) წარმოადგენს სააგენტოს მესამე პირთან ურთიერთობაში;

$მ^1$) უფლებამოსილია სააგენტოს უფროსის მოადგილის, სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ან ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, ყოველთვიურად უზრუნველყოს სააგენტოს უფროსის მოადგილის, სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ან ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელისთვის (ოჯახის წევრებთან – მეუღლესთან და არასრულწლოვან შვილებთან ერთად) საცხოვრებელი ბინის ქირის ანაზღაურება, იმ შემთხვევაში, თუ მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი სამუშაო ადგილიდან არანაკლებ 30 კილომეტრითაა დაშორებული და მას ან მის ოჯახის წევრებს (მეუღლეს ან არასრულწლოვან შვილებს) სამუშაო ადგილიდან 30 კილომეტრამდე მანძილზე არ გააჩნიათ საკუთრებაში რეგისტრირებული საცხოვრებელი ფართი;

ნ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

3. სააგენტოს უფროსი ანგარიშვალდებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის წინაშე.

4. სააგენტოს უფროსს ჰყავს ხუთი მოადგილე. სააგენტოს უფროსის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს უფროსი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან შეთანხმებით.

5. სააგენტოს უფროსის არყოფნის შემთხვევაში, სააგენტოს უფროსის მოვალეობას ასრულებს მისი ერთ-ერთი მოადგილე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 25 აპრილის ბრძანება №2-215 - ვებგვერდი, 26.04.2023წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 24 ნოემბრის ბრძანება №2-879 - ვებგვერდი, 27.11.2023წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2026 წლის 30 მარტის ბრძანება №2-118 - ვებგვერდი, 31.03.2026წ.

მუხლი 4. სააგენტოს სტრუქტურა

1. სააგენტო შედგება ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოებისგან, რომლებიც ქმნიან სააგენტოს ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას.
2. სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) ცხოველური წარმოშობის სურსათის დეპარტამენტი;

ბ) არაცხოველური წარმოშობის სურსათის დეპარტამენტი;

გ) ცხოველთა ჯანმრთელობის დეპარტამენტი;

დ) ვეტერინარული კონტროლის დეპარტამენტი;

ე) მცენარეთა დაცვის დეპარტამენტი;

ვ) ფიტოსანიტარიული კონტროლის დეპარტამენტი;

ზ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

თ) იურიდიული დეპარტამენტი;

ი) საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი;

კ) აუდიტორული და სამსახურებრივი ინსპექცია;

ლ) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;

მ) რისკებზე რეაგირებისა და ტერიტორიულ ორგანოებთან კოორდინაციის დეპარტამენტი;

ნ) პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;

ო) ხარისხის მართვისა და სტატისტიკური ანალიზის სამსახური;

პ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

3. სააგენტოს ტერიტორიული ორგანოებია:

ა) თბილისის დეპარტამენტი;

ბ) იმერეთის დეპარტამენტი;

გ) კახეთის დეპარტამენტი;

დ) მცხეთა-მთიანეთის დეპარტამენტი;

ე) სამეგრელო-ზემო სვანეთის დეპარტამენტი;

ვ) სამცხე-ჯავახეთის დეპარტამენტი;

ზ) ქვემო ქართლის დეპარტამენტი;

თ) შიდა ქართლის დეპარტამენტი;

ი) აჭარის დეპარტამენტი;

კ) გურიის სამსახური;

ლ) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამსახური;

მ) აფხაზეთის სამსახური.

4. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფები და ტერიტორიული ორგანოები სააგენტოს პირველადი სტრუქტურული ერთეულებია.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 14 დეკემბრის ბრძანება №2-936 - ვებგვერდი, 15.12.2023წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 1 სექტემბრის ბრძანება №2-541 - ვებგვერდი, 01.09.2025წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2026 წლის 30 მარტის ბრძანება №2-118 - ვებგვერდი, 31.03.2026წ.

მუხლი 5. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების ფუნქციები

1. ცხოველური წარმოშობის სურსათის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შემუშავება;

ბ) ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების უზრუნველყოფა;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, ჰიგიენური და ვეტერინარული სერტიფიკატის გაცემა და გაცემაზე კონტროლი;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, სურსათის უვნებლობის სფეროში რისკის შეფასების საფუძველზე რისკის მართვისა და კომუნიკაციის განხორციელება კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, სამოქმედო სახელმძღვანელოების და მეთოდოლოგიური დოკუმენტების შემუშავების ინიციირება და შემუშავება;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, სურსათისმიერი ეპიდაფეთქების კონტროლსა და პრევენციულ ღონისძიებებში ჩართულობა;

ზ) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

2. არაცხოველური წარმოშობის სურსათის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) არაცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შემუშავება;

ბ) არაცხოველური წარმოშობის სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების უზრუნველყოფა;

გ) საქართველოში წარმოებული (ჩამოსხმული) წყლის სასაქონლო პროდუქციისთვის ნატურალური მინერალური, წყაროს და სუფრის წყლის კატეგორიების მინიჭება;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, ჰიგიენური/ჯანმრთელობის სერტიფიკატის გაცემა და გაცემაზე კონტროლი;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, რისკის შეფასების საფუძველზე რისკის მართვისა და კომუნიკაციის განხორციელება კანონმდებლობის შესაბამისად;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, სამოქმედო სახელმძღვანელოების და მეთოდოლოგიური დოკუმენტების შემუშავების ინიციირება და შემუშავება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, სურსათისმიერი ეპიდაფეთქების კონტროლსა და პრევენციულ ღონისძიებებში ჩართულობა;

თ) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

3. ცხოველთა ჯანმრთელობის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შემუშავება;

ბ) ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნება და კონტროლი;

გ) გადამდები დაავადებების დიაგნოსტიკა, მათი საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამების შემუშავება, ორგანიზება და განხორციელება;

დ) კომპეტენციის ფარგლებში ვეტერინარული კარანტინის ორგანიზება;

ე) ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის უზრუნველყოფა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ვ) ცხოველთა კეთილდღეობაზე კონტროლის უზრუნველყოფა;

ზ) რისკის შეფასების საფუძველზე, რისკის მართვისა და კომუნიკაციის განხორციელება, კანონმდებლობის შესაბამისად;

თ) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

4. ვეტერინარული კონტროლის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შემუშავება;

ბ) ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაცია;

გ) ვეტერინარული პრეპარატების, არასასურსათო დანიშნულების ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ცხოველის საკვების და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტების სახელმწიფო კონტროლის ორგანიზება;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, ვეტერინარული სერტიფიკატის გაცემაზე კონტროლი;

ე) ცხოველთა გადაადგილების კონტროლის უზრუნველყოფა;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, იმპორტისა და ექსპორტის კარანტინზე ზედახედველობა;

ზ) რისკის შეფასების საფუძვლზე, რისკის მართვისა და კომუნიკაციის განხორციელება, კანონმდებლობის შესაბამისად;

თ) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

5. მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შემუშავება;

ბ) მცენარეთა კარანტინის ორგანიზება, მავნე ორგანიზმების გავრცელებისაგან ქვეყნის ტერიტორიის დაცვა;

გ) მცენარეთა მავნე ორგანიზმების გავრცელებასა და განვითარებაზე დაკვირვება, მავნე ორგანიზმების გამოვლენა და მათი დიაგნოსტიკის ორგანიზება;

დ) კარანტინს დაქვემდებარებული მცენარეული პროდუქციის ფიტოსანიტარიული კონტროლის ორგანიზება;

ე) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო რეგისტრაცია;

ვ) ფიტოსანიტარიული მონიტორინგი;

ზ) ფიტოსანიტარიული და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემის კოორდინაცია;

თ) საჭიროების შემთხვევაში რისკის შეფასების საფუძვლზე რისკის მართვისა და კომუნიკაციის განხორციელება კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) მცენარეული წარმოშობის პროდუქციის, სატრანსპორტო საშუალებების, საწყობების და ობიექტის გაუსნებოვნების კოორდინაცია;

კ) შესაფუთი ხის მასალის დამუშავების, დამზადების, შეკეთებისა და მარკირების გამოყენების უფლების მქონე რეგისტრირებული ბიზნესოპერატორებისათვის შესაბამისი მოწმობის მომზადება და რეესტრის წარმოება;

ლ) კომპეტენციიდან გამომდინარე საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

მ) კომპეტენციიდან გამომდინარე სააგენტოს ტერიტორიული ორგანოებისათვის მეთოდური დახმარების გაწევა;

ნ) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

6. ფიტოსანიტარიული კონტროლის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე და საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო, პრევენციული და ლოკალიზაცია/ლიკვიდაციის ღონისძიებების პროგრამების შემუშავება, ორგანიზება და განხორციელება;

ბ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტების აღიარება და კონტროლი;

გ) პესტიციდების პროფესიონალი მომხმარებლების, დისტრიბუტორებისა და კონსულტანტების სერტიფიცირება და რეესტრის შექმნა;

დ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენების კონტროლი;

ე) პესტიციდების შემტანი მოწყობილობების სერტიფიცირება და აღრიცხვა;

ვ) სათესლე და სარგავი მასალის ფიტოსანიტარიული კონტროლი კანონმდებლობის შესაბამისად;

ზ) რისკის შეფასების საფუძვლზე, რისკის მართვისა და კომუნიკაციის განხორციელება, კანონმდებლობის შესაბამისად;

თ) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

7. ადმინისტრაციული დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სააგენტოს საქმისწარმოების ორგანიზება და არქივის წარმოება;

ბ) სააგენტოს კომპიუტერული ქსელისა და ტექნიკის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა;

გ) სააგენტოს ქონების განკარგვის ორგანიზება;

დ) სააგენტოს ლოჯისტიკური საქმიანობის განხორციელება, ორგანიზება და კონტროლი;

ე) ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოს საქმიანობის უზრუნველსაყოფად სათანადო მატერიალურ-ტექნიკური პირობების შექმნა;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, მომსახურებასთან დაკავშირებით დაინტერესებული პირების კორესპონდენციის მიღება, დამუშავება და საპასუხო კორესპონდენციის გაცემა;

ზ) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

8. იურიდიული დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სააგენტოს ფუნქციების განხორციელებისათვის, სამართლებრივი მომსახურების უზრუნველყოფა, სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების და სხვა აქტების სამართლებრივი ექსპერტიზა;

ბ) სამართალწარმოების განხორციელება – სააგენტოს ინტერესების დაცვა სასამართლოში, სააგენტოში შემოსული ადმინისტრაციული საჩივრების განხილვის უზრუნველყოფა;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებზე დასკვნების მომზადებაში თანამონაწილეობა;

დ) კომპეტენციის ფარგლებში სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესში თანამონაწილეობა;

ვ) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

9. საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება;

ბ) საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობის წარმართვა;

გ) სააგენტოს ერთიანი ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და სამინისტროში წარდგენა;

დ) სააგენტოსთვის გამოყოფილი თანხების მიზნობრივი ათვისების უზრუნველყოფა, ბიუჯეტის სისტემური ანალიზი;

ე) ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება;

ვ) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

10. აუდიტორული და სამსახურებრივი ინსპექციის ფუნქციებია:

ა) დამოუკიდებელი და ობიექტური საქმიანობა, რომლის შედეგადაც განსაზღვრავს და აანალიზებს სააგენტოში არსებული პოლიტიკის და პროცედურების შესრულებას, საკანონმდებლო მოთხოვნებისა და არსებული სტანდარტების დაცვას, რესურსების ეფექტურად და ეკონომიურად გამოყენებას, ამოცანების ეფექტურ შესრულებას და, შედეგად, სააგენტოში დასახული მიზნების მიღწევას;

ბ) სააგენტოს უფროსის უზრუნველყოფა სააგენტოს სისტემაში მართვისა და კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის, ეკონომიურობის, ეფექტიანობის, მოქმედ სტანდარტებთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ არსებული ინფორმაციით;

გ) სააგენტოს წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის ხარისხის შეფასება, სააგენტოს სისტემის საქმიანობის გაუმჯობესება და მისი მიზნების მიღწევის ხელშეწყობა;

დ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;

ე) სააგენტოს სისტემის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი;

ვ) სააგენტოს საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

ზ) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;

თ) სააგენტოს სისტემაში კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებაზე კონტროლის განხორციელება, მოსალოდნელი დარღვევების ან/და ხარვეზების ანალიზი და მათი პრევენცია;

ი) სააგენტოს სისტემაში თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შესახებ დასკვნის შედგენა და ხელმძღვანელობისთვის წარდგენა;

კ) სააგენტოს სისტემაში აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით, სააგენტოს უფროსისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება.

11. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესში მონაწილეობა;

გ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებთან კოორდინაციის უზრუნველყოფა და თანამშრომლობის საკითხების რეგულირება;

დ) დონორების პროექტების დაგეგმვა და მართვის ხელშეწყობა;

ე) ქართული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრების მხარდამჭერი წინადადებების შემუშავება;

ვ) ვეტერინარული და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემა;

ზ) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

12. რისკებზე რეაგირებისა და ტერიტორიულ ორგანოებთან კოორდინაციის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სფეროებში არსებულ რისკებზე რეაგირება;

ბ) განსაკუთრებულ შემთხვევებში ადგილზე (კერა, საგანგებო სიტუაციის რაიონი, ობიექტი) ოპერატიულად გასვლა და სიტუაციის (გამოკითხვით, დათვალიერებით, მოძიებით, მოკვლევით და სხვა საჭირო მეთოდებითა და ხერხებით) შესწავლა;

გ) რისკის გათვალისწინებით, მავნე ორგანიზმების კერების ლოკალიზაცია/ლიკვიდაციაში მონაწილეობის მიღება;

დ) რისკის გათვალისწინებით, გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;

ე) მიღებული ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაანალიზება, გადაუდებლად განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებების /ქმედებების განხორციელება;

ვ) რისკებზე რეაგირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ტერიტორიულ ორგანოებთან კოორდინაცია;

ზ) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

13. პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციებია:

ა) სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ბ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა, საზოგადოების ინფორმირება სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელების თაობაზე;

გ) სააგენტოს ვებგვერდზე ინფორმაციის პერიოდული განახლება;

დ) სააგენტოს საქმიანობის შესახებ რეკლამების, საგაზეთო სტატიებისა და ვიდეორგოლების მომზადებაში მონაწილეობა;

ე) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

14. ხარისხის მართვისა და სტატისტიკური ანალიზის სამსახურის ფუნქციებია:

ა) სააგენტოს საქმიანობის ხარისხის მართვის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა;

ბ) შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვა და მართვა;

გ) იმ პირთა კმაყოფილების კვლევის, შესწავლის/შეფასების უზრუნველყოფა, რომლებიც სარგებლობენ სააგენტოს მომსახურებით;

დ) სააგენტოს საქმიანობიდან გამომდინარე, სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაცია და ანალიზი;

ე) სტატისტიკური მეთოდოლოგიის მუდმივი გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

ვ) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

15. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ფუნქციებია:

ა) ადამიანური რესურსების მოზიდვის, შერჩევის, განვითარებისა და შენარჩუნების მიზნით არსებული პროცესების შესწავლა, საუკეთესო პრაქტიკის მოძიება და პოლიტიკის შემუშავება/განხორციელება;

ბ) წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების/ინდიკატორების შესაბამისად, თანამშრომელთა შეფასებისა და მოტივაციის ასამაღლებელი სისტემების შემუშავება, დანერგვა, პერიოდული განახლება;

გ) სააგენტოს თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა და სისტემატიზაცია;

დ) სააგენტოს თანამშრომელთა დანიშვნის, გათავისუფლების, შვებულების, მივლინების, დროებითი ფუნქციების დაკისრებისა და გადაყვანის შესახებ ბრძანებების პროექტებისა და შრომითი/ადმინისტრაციული ხელშეკრულებების მომზადება;

ე) თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

ვ) კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №2-1589 - ვებგვერდი, 03.12.2021წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 24 თებერვლის ბრძანება №2-92 - ვებგვერდი, 27.02.2023წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 14 დეკემბრის ბრძანება №2-936 - ვებგვერდი, 15.12.2023წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 1 სექტემბრის ბრძანება №2-541 - ვებგვერდი, 01.09.2025წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2026 წლის 30 მარტის ბრძანება №2-118 - ვებგვერდი, 31.03.2026წ.

მუხლი 6. სააგენტოს ქონება

1. სააგენტოს ქონება შედგება:

ა) დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გადაცემული ქონებისაგან;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა ქონებისაგან.

2. სააგენტოს ქონებას შეადგენს ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე, სხვა მატერიალური ფასეულობები და ფინანსური რესურსები, რომლებიც აისახება სააგენტოს დამოუკიდებელ ბალანსზე.

მუხლი 7. სააგენტოს დაფინანსება

1. სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;

ბ) სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასური;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ვადები და საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები ხმარდება სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 8. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლი

1. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.
2. სააგენტო ვალდებულია კონტროლის განსახორციელებლად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს მოთხოვნისთანავე წარმოუდგინოს შესაბამისი ინფორმაცია და მასალები.

3. სააგენტოს თანხმობით შეუძლია:

ა) უძრავი ქონების შეძენა, სააგენტოს საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე სააგენტოს მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;

ვ) სხვა გადაწყვეტილებების მიღება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

4. ამ მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

5. სააგენტოს უფლება აქვს მისთვის გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება განკარგოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. სააგენტო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას, ადგენს ბალანსს და დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. სააგენტოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით.
2. სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.